ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3949402

ნომერი: AR1589888

თარიღი : 25.04.2018

გაცემის თარიღი : 08.05.2018

გაცნობის თარიღი : 08.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 74/11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ ფალავანდიშვილი პ/ნ 01017014926
- თბილისი ამაღლების ქ. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, გამზირი ი.ჭავჭავაძე , N74/11, სააქციო საზოგადოება "საქწყალპროექტი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სამსახურის 26.02.2018 წლის №3841613 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული არსებულ შენობის ფასადზე პირველი კლასის სამუშაოების (ღიობების რეკონსტრუქციის, დასაკეცი ტენტის, გათბობა-გაგრილების დანადგარების) , ასევე ქვაფეფილის, პერგოლისა და შშმ პირთა პანდუსის (მოაჯირით) მოწყობა განხორციელებასა და ღია საზაფხულო კაფის მოწყობის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე განხორციელების შესაძლებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018271018 30/04/2018წ. საკადასტრო კოდი N 01.14.11.001.001, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, გამზირი ი.ჭავჭავაძე , N74/11, სააქციო საზოგადოება "საქწყალპროექტი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სამსახურის 26.02.2018 წლის №3841613 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული არსებულ შენობის ფასადზე პირველი კლასის სამუშაოების (ღიობების რეკონსტრუქციის, დასაკეცი ტენტის, გათბობა-გაგრილების დანადგარების) , ასევე ქვაფეფილის, პერგოლისა და შშმ პირთა პანდუსის (მოაჯირით) მოწყობა განხორციელებასა და ღია საზაფხულო კაფის მოწყობის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ არ უნდა განხორციელდეს ტერიტორიის გამოყოფა საზოგადოებრივი სივრცისგან ისე, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია გამოყენებული იქნას მხოლოდ მიმდებარე საკადასტრო ერთეულის მესაკუთრის მიერ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.